კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (REC CAUCASUS)

# კონკურსი
# ხილ-კენკროვანი და კაკლოვანი კულტურების სადემონსტრაციო პროექტების ხელშეწყობის პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად



## მდგრადი და კლიმატგონივრული აგროპრაქტიკის დანერგვისთვის

პროგრამა ხორციელდება

„მწვანე შეთანხმებისთვის მზადყოფნის ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნებში“ (PROGRESS) ფარგლებში

"Promoting Green Deal Readiness in Eastern Partnership Countries" (PROGRESS)

## სარჩევი

შესავალი ................................................................ 3
1. ინფორმაცია ხილ-კენკროვანი და კაკლოვანი კულტურების სადემონსტრაციო პროექტების ხელშეწყობის პროგრამის შესახებ ........................ 4
1.1. პროგრამის მიზნები ........................................................ 4
1.2. პროგრამის პრიორიტეტული მიმართულებები ........................................ 5
1.3. სადემონსტრაციო პროექტების განხორციელების გეოგრაფიული არეალი და ვადები ........................................................ 8
1.4. სადემონსტრაციო პროექტების შესარჩევი კონკურსის პირობები ..................... 8
1.5. სადემონსტრაციო პროექტის ფარგლებში საქონლისა და მომსახურების შესყიდვების განხორციელება ........................................................ 12
2. ვის შეუძლია პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა ........................................................ 12
3. კონკურსის ფარგლებში წარსადგენი სავალდებულო დოკუმენტაცია ........... 14
4. კონკურსის ეტაპები ........................................................ 15
4.1. ეტაპი I: განაცხადების მიღება და გადარჩევა ........................................ 15
4.2. ეტაპი II: განაცხადების პირველადი შეფასება ........................................ 15
4.3. ეტაპი III: საბოლოო შეფასება და თანადაფინანსებისთვის შერჩეული სადემონსტრაციო პროექტების გამოვლენა ........................................ 15
4.4. ეტაპი IV: გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილების რისკების შეფასება და ხელშეკრულების გაფორმება ........................................ 16
5. კონკურსთან დაკავშირებული საინფორმაციო შეხვედრა და საკონკურსო განაცხადის წარმოდგენა ........................................ 17
5.1. კონკურსის შესახებ შეკითხვების გამოგზავნა ........................................ 17
5.2. საკონკურსო განაცხადის წარმოდგენა ........................................ 18

## შესავალი

რეგიონალური პროექტი PROGRESS სტრატეგიული ინიციატივაა, რომელიც მიზნად ისახავს აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნების – სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის – მხარდაჭერას მათი სასოფლო-სამეურნეო და გარემოსდაცვითი პრაქტიკების ევროპის მწვანე შეთანხმების სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანაში.

ა(ა)იპ - კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (REC Caucasus) ახორციელებს საქართველოში ხილ-კენკროვანი და კაკლოვანი კულტურების სადემონსტრაციო პროექტების ხელშეწყობის პროგრამას (შემდგომ ტექსტში - „პროგრამა“), რომელიც მხარდაჭერილია პროექტის „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მწვანე შეთანხმებისთვის მზაობის ხელშეწყობა (PROGRESS)“ მიერ. პროექტს ახორციელებს კონსორციუმი, რომელსაც ხელმძღვანელობს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) და მისი ხანგრძლივობა შეადგენს 4,5 წელს (10/2023 – 04/2028).

PROGRESS-ი ხელს უწყობს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული უარყოფითი ფაქტორების შერბილებაზე ორიენტირებული და მდგრადი მწვანე ეკონომიკის განვითარებას.

აღნიშნული პროექტის მიზანია, გააუმჯობესოს პირობები შერჩეული აგრარული და მასთან დაკავშირებული პროდუქციის ღირებულებათა ჯაჭვების ტრანსფორმაციისთვის და ხელი შეუწყოს ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მეთოდების დანერგვას, კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაციას და სათბურის აირების (GHG) შემცირების გრძელვადიან პროცესს.

ზემოხსენებული მიზნის მიღწევა შემდეგი კომპონენტების განხორციელებითაა გათვალისწინებული:

- კლიმატგონივრული ეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო მიდგომების შემუშავებისა და მათი მხარდაჭერის კომპონენტი;
- მდგრადი და კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობის კომპონენტი;
- მდგრადი და კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის თაობაზე ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე ცნობიერების ამაღლების კომპონენტი;
- სოფლის მეურნეობისა და პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განსავითარებლად ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების კომპონენტი;
- სადემონსტრაციო პროექტების ხელშეწყობის კომპონენტი. აღნიშნული კომპონენტის ფაგრლებში განხორციელდა მოცვის, ნუშის, მარწყვისა და მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვების ანალიზი საქართველოში, რომლის მიზანიც იყო ეკონომიკურად პერსპექტიულ ღირებულებათა ჯაჭვების

განსაზღვრა და რეკომენდაციების შემუშავება მათი მდგრადობის, პროდუქტიულობის ზრდისა და მწვანე ტექნოლოგიებისა და პრაქტიკის დანერგვის მიმართულებით.

სწორედ ზემოაღნიშნული კომპონენტების ფარგლებში შემუშავდა საქართველოში ხილ-კენკოვანი და კაკლოვანი კულტურების სადემონსტრაციო პროექტების ხელშეწყობის პროგრამა.

## 1. ინფორმაცია ხილ-კენკროვანი და კაკლოვანი კულტურების სადემონსტრაციო პროექტების ხელშეწყობის პროგრამის შესახებ

### 1.1. პროგრამის მიზნები

საქართველოში ხილ-კენკოვანი და კაკლოვანი კულტურების სადემონსტრაციო პროექტების ხელშწყობის პროგრამის მიზანია მდგრადი და კლიმატგონივრული აგროპრაქტიკის დანერგვა, კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა.

პროგრამით გათვალისწინებულია საქართველოში სულ მცირე სამი სადემონსტრაციო პროექტის განხორციელების ხელშეწყობა მათი თანადაფინანსების გზით.

თანადაფინანსებისთვის შერჩეული სადემონსტრაციო პროექტები უნდა ფარავდნენ ხილ-კენკროვანი და კაკლოვანი კულტურების პირველადი წარმოების (მოყვანის, მოსავლის აღების, პირველადი გადამუშავება/შენახვის) ერთ ან რამოდენიმე სტადიას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მდგრადი სარგებელი გრძელვადიან პერიოდში.

პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სადემონსტრაციო პროექტების ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა მათი ეკონომიკური ეფექტიანობა და განმეორებადობის სიმარტივე უნდა იყოს. ღირებულების ჯაჭვებზე ფოკუსირებული პროექტები უნდა იქცნენ მოდელებად, რომელთა გავრცელება და ადაპტირება შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ხილ-კენკროვან და კაკლოვან კულტურებთან მიმართებაში.

ეკონომიკური სარგებლის პარალელურად, ისინი უნდა შეესაბამებოდნენ კლიმატის ცვლილების შედეგად გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების შერბილებისა და ადაპტაციის მიზნებს, როგორიცაა მაგალითად ნახშირორჟანგის სეკვესტრირება და სათბური გაზების ემისიების შემცირება. გარდა ამისა, ისინი უნდა უზრუნველყოფდნენ გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მისაღებ და რესურს ეფექტიანი მიდგომების დანერგვას.

## 1.2. პროგრამის პრიორიტეტული მიმართულებები

პროგრამაში მონაწილეობა ღიაა ხილ-კენკროვანი და კაკლოვანი კულტურების სადემონსტრაციო პროექტებისთვის, *თუმცა პრიორიტეტი მიენიჭება მოცვისა და ნუშის კულტურაზე ორიენტირებულ პროექტებს.*

**სადემონსტრაციო პროექტებისთვის რეკომენდებული პრიორიტეტული მიმართულებებია:**

- **მდგრადი სოფლის მეურნეობის წარმოება:**
  - მცენარეთა მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვის (IPM) სისტემის დანერგვა;
  - (ბიო) ორგანული მეურნეობის წარმოება;
  - სოფლის მეურნეობის კულტურების წარმოების (მოსავლის მოყვანის და აღების), პირველადი გადამუშავებისა და შენახვის (მათ შორის ცივი ან/და მშრალი შენახვის) და პირველადი მიწოდების) რგოლების უზრუნველყოფა;
  - ე.წ. „ჭკვიანი ტექნოლოგიების" დანერგვა სოფლის მეურნეობაში (აგრომეტეოროლოგიური სადგურები; ამინდის სენსორები; ნიადაგის სენსორები; მზის რადიაციის სენსორები; აორთქლების მონიტორინგი; ყინვების მონიტორინგის სისტემა; მონაცემთა გადაცემის და შენახვის სისტემები და სხვ.);
  - უპირატესად ორგანული წარმოშობის სასუქების გამოყენება;
  - ფერტიგაცია მონო სასუქებით;
  - დრონით შესხურების სისტემის დანერგვა თანამედროვე GPS და სხვა დისტანციური ტექნოლოგიების გამოყენებით.
  - სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების მდგრადი მართვა, (ბიოჩარი, კომპოსტი, პელეტები)
- **კონსერვაციული სოფლის მეურნეობის მიდგომებისა და მეთოდების გამოყენება, მათ შორის:**
  - ნიადაგის მინიმალური (Mini-Till) და ნულოვანი დამუშავება (No-Till);
  - ნიადაგის დაცვა ეროზიისგან რიგთაშორისებში ნიადაგის მწვანე საფარის შენარჩუნებით.
  - სასოფლო-სამეურნეო კულტურების შიდა ჯიშობრივი დივერსიფიკაცია - ნაყოფმსხმოიარობის საერთო პერიოდის გახანგრძლივებისა და აღნიშნულ პერიოდში უწყვეტი და თანაბარი რაოდენობის მოსავლის მიღების მიზნით;
  - წყლისა და საკვები ნივთიერებების ეფექტური მართვა – წვეთოვანი და სენსორული რწყვის სისტემების დანერგვის გზით;
  - კომპოსტისა და ორგანული სასუქების გამოყენება.

- **კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის მიდგომებისა და მეთოდების გამოყენება, მათ შორის:**
    - მშრალი/ნახევრად მშრალი კლიმატისადმი გვალვაგამძლე საძირეებისა და სამყნობი მასალის გამოყენება;
    - წვიმის წყლის შეგროვება ირიგაციისა და სამეურნეო მიზნებისთვის;
    - სიდერაცია, პარკოსანი კულტურების (მაგ. სამყურა) სასოფლო-სამეურნეო კულტურის რიგთაშორისებში გამოყენება აზოტის ბუნებრივი ფიქსაციისათვის;
    - მზის ენერგიაზე მომუშავე ირიგაციისა და სხვა ფერმერული ტექნიკისა და დანადგარების გამოყენება.

- **ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების დანერგვა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის აღებისა და პირველადი გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მინიმიზაცია:**
    - სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის აღებისა და პირველადი გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მინიმიზაცია;
    - რესურსების მაქსიმალური გამოყენება უნარჩენო სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და დანაკარგების შემცირების გზით;
    - სასოფლო-სამეურნეო კულტურების პირველადი გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გამოცდილების დანერგვა სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესებში;
    - მწვანე და მდგრადი შეფუთვის მეთოდების დანერგვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების პირველადი გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციისთვის.
- **ბაზარზე ორიენტირებული საქმიანობების განვითარება, მათ შორის კონცეფციის – „უვნებელი სურსათი ფერმიდან-სუფრამდე“(Farm to Fork)[1] ძირითადი პრინციპების პრაქტიკაში განხორციელება:**
    - პირდაპირი მარკეტინგის სტრატეგიების დანერგვა;
    - მიწოდების მოკლე ჯაჭვებისა და ადგილობრივ ბაზრებზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობათა გამოყენება;
    - შემოსავლების დივერსიფიცირება მომიჯნავე საქმიანობების (მაგ. აგროტურიზმის) განვითარების გზით;

---

[1] *კონცეფცია „უვნებელი სურსათი ფერმიდან-სუფრამდე“ (Farm to Fork) მოიცავს მიწოდების ჯაჭვის ყველა რგოლს. აღნიშნული კონცეფცია ემსახურება ცნობადობის ამაღლებას სურსათის უვნებლობის კუთხით და არის უმნიშვნელოვანესი, პირველ რიგში, ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის, ასევე კონკურენტუნარიანი, უვნებელი და ხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოებლად.*

- მიწოდების ჯაჭვის ლოგისტიკის ოპტიმიზაცია - სასოფლო-სამეურნეო კულტურების ანალოგიური სახეობებისა და ხარისხის სხვა მწარმოებლებთან კოოპერირების გზით.

- **გარდა ზემოაღნიშნულისა, მოცვისა და ნუშის კულტურაზე ორიენტირებული სადემონსტრაციო პროექტებისთვის რეკომენდებული პრიორიტეტული მიმართულებები მოიცავს:**
  - **მოცვის კულტურისათვის:**
    - ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა: ე.წ. მაღალთაღოვანი გვირაბის კონსტრუქციის სათბურების მოწყობა - ჰაერის ოპტიმალური ნაკადისა და მზის სინათლის შეღწევისთვის; სათბურებში მოცვის ყინვაგამძლე (No-Chill) ჯიშებისა და ეკოლოგიურად სუფთა მზისგან დამცავი მასალების გამოყენება;
    - ორგანული მეურნეობის პრაქტიკის დანერგვა, მათ შორის:
      - ✓ სინთეტიკური (სინთეტიკური პესტიციდების, ჰერბიციდიებისა და ფუნგიციდების) გამოყენების აღმოფხვრა და სანაცვლოდ მავნებლებთან ბრძოლის ბიოლოგიური საშუალებების დანერგვა;
      - ✓ კომპოსტისა და ორგანული სასუქების უპირატესი გამოყენება;
      - ✓ მოცვის კულტურის შიდა ჯიშობრივი მრავალფეროვნების გამოყენება.
    - საირიგაციო სისტემების გაუმჯობესება (წვეთოვანი რწყვის სისტემები, ნიადაგის ტენიანობის სენსორები და სხვ.);
    - მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ინტეგრირებული მართვის (IPM) სისტემის დანერგვა (ბუნებრივი მტაცებლებისა და ფერომონების ხაფანგები; მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის არატოქსიკური და ბილოგიური მეთოდები და სხვ.);
    - განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენება (მზის პანელები და ქარის ტურბინები, არსებული ინფრასტრუქტურის ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება და სხვ.);
    - ნიადაგის დაცვისა და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები;
    - ბიოდეგრადირებადი შესაფუთი მასალებითა და მრავალჯერადი გამოყენების კონტეინერებით სარგებლობა; ადგილობრივი წარმოშობის (მაგ., მერქნული წარმოშობის) შესაფუთი მასალების გამოყენება.

  - **ნუშის კულტურისათვის:**
    - ნუშის ნაჭუჭის/ჩენჩოს გამოყენება და/ან ნუშის ნაჭუჭის/ჩენჩოს კომპოსტირება; ბიოჩარისა და პელეტების წარმოება;
    - ნუშის ნაჭუჭის/ჩენჩოს გადამუშავება - ბიოსაწვავის საწარმოებლად;

- ნუშის ბაღებში განახლებადი ენერგიის გამოყენება - მზის პანელების გამოყენება საირიგაციო სისტემებისა და სხვა საწარმოო პროცესისათვის;
- კლიმატ-გონივრული მეტეო სადგურების გამოყენება მცენარეთა დაცვის პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით;
- წარმოების საუკეთესო აგროპრაქტიკის დანერგვა - (ბიო) ორგანული ნუშის ნაყოფის მოსავლის მისაღებად;
- ნიადაგის დაცვისა და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები;
- მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ინტეგრირებული მართვის (IPM) სისტემის დანერგვა (ბუნებრივი მტაცებლებისა და ფერომონების ხაფანგები; მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის არატოქსიკური და ბილოგიური მეთოდები და სხვ.);
- საირიგაციო სისტემის გაუმჯობესება (წვეთოვანი რწყვის სისტემები, ნიადაგის ტენიანობის სენსორები და სხვ.) და სარწყავი წყლის ხარისხის კონტროლი.

## 1.3. სადემონსტრაციო პროექტების განხორციელების გეოგრაფიული არეალი და ვადები

სადემონსტრაციო პროექტები შეიძლება განხორციელდეს საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში, გარდა თვითმმართველი ქალაქებისა.

სადემონსტრაციო პროექტების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 24 თვეს. პროექტით გათვალისწინებული შედეგები მიღწეულ უნდა იქნეს 2027 წლის ნოემბრამდე.

## 1.4. სადემონსტრაციო პროექტების შესარჩევი კონკურსის პირობები

პროგრამის ფარგლებში სულ მცირე 3 სადემონსტრაციო პროექტის შერჩევა მოხდება კონკურსის მეშვეობით.

კონკურსს ატარებს და შესაბამისად საკონკურსო კომისიას ქმნის პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია - კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (REC Caucasus). საკონკურსო კომისია დაკომპლექტებული იქნება პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციის წევრებისა და მოწვეული ექსპერტ-კონსულტანტებისაგან.

ამასთანავე, კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (REC Caucasus) იტოვებს უფლებას, შეწყვიტოს კონკურსი იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი განაცხადები ვერ დააკმაყოფილებენ შესარჩევი კონკურსის პირობებით დადგენილ მოთხოვნებს.

**თანადაფინანსების ოდენობა**

ერთი სადემონსტრაციო პროექტის ფარგლებში თანადაფინანსების მინიმალური და მაქსიმალური ოდენობები განისაზღვრება შემდეგნაირად:

- ***ძირითადი საშუალებების შეძენა-მონტაჟისათვის:*** 5,000 ევროს/EUR (მინიმალური ოდენობა) – 25,000 ევროს/EUR (მაქსიმალური ოდენობა) ექვივალენტი ლარში (დანადგარი, ტექნიკა, ტექნოლოგია); [2]

- ***მომსახურებისთვის (მათ შორის, პროფესიონალური კონსულტაცია, შესაძლებლობების გაძლიერება და სხვა დაკავშირებული მომსახურებები):*** 5,000 ევროს/EUR (მინიმალური ოდენობა) – 15,000 ევროს/EUR (მაქსიმალური ოდენობა) ექვივალენტი ლარში მომსახურებისთვის (მათ შორის, პროფესიონალური კონსულტაცია, შესაძლებლობების გაძლიერება და სხვა დაკავშირებული მომსახურებები).

შესაბამისად, ერთი სადემონსტრაციო პროექტისთვის ჯამურად შეიძლება მოთხოვნილ იქნეს თანადაფინანსება 10,000 ევროს/EUR (მინიმალური ოდენობა) – 40,000 ევროს/EUR (მაქსიმალური ოდენობა) ფარგლებში.

**პროგრამის ბენეფიციარის თანამონაწილეობა სადემონსტრაციო პროექტის დაფინანსებაში**

მოითხოვება პროგრამის პოტენციური ბენეფიციარის (თანადაფინანსების მიმღების) მიერ სადემონსტრაციო პროექტის განხორციელებაში თანამონაწილეობა, რაც უნდა შეადგენდეს მოთხოვნილი თანადაფინანსების სულ მცირე 45%-ს ფულადი ან/და არაფულადი სახით.

შესაბამისად, ერთი სადემონსტრაციო პროექტის მთლიანი ღირებულების მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა ჯამურად განისაზღვრება შემდეგნაირად:

- 14,500 ევროს/EUR (მინიმალური ოდენობა) – 58,000 ევროს/EUR (მაქსიმალური ოდენობა) ექვივალენტი ლარში: (ა) ძირითადი საშუალებების შეძენა-მონტაჟისათვის და (ბ) მომსახურებისთვის.

---

[2] *შენიშვნა: ძირითადი საშუალებები მოიცავს ისეთ დანადგარებს, ტექნიკას, ან ტექნოლოგიებს/ტექნოლოგიურ ხაზებს, რომლებიც გამოიყენებიან ხილ-კენკროვანი და კაკლოვანი კულტურების პირველადი წარმოების შემდეგ სტადიებზე: მოყვანა და მოსავლის აღება, პირველადი გადამუშავება/შენახვა და პირველადი მიწოდება.*

თვალსაჩინოებისთვის იხ. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი 1.

*ცხრილი 1: სადემონსტრაციო პროექტის მთლიანი ღირებულების მინიმალური და მაქსიმალური ოდენობები ხარჯების ძირითადი სახეობებისა და დაფინანსების წყაროების მიხედვით*

| სადემონსტრაციო პროექტის ხარჯების ძირითადი სახეობები | პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ გაცემული თანადაფინანსება | | პროგრამის პოტენციური ბენეფიციარის (თანადაფინანსების მიმიღების) წილობრივი თანამონაწილეობა | | პროექტის მთლიანი ღირებულება | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მინიმალური ოდენობა (ევრო/EUR) | მაქსიმალური ოდენობა (ევრო/EUR) | მინიმალური ოდენობა (ევრო/EUR) | მაქსიმალური ოდენობა (ევრო/EUR) | მინიმალური ოდენობა (ევრო/EUR) | მაქსიმალური ოდენობა (ევრო/EUR) |
| (ა) ძირითადი საშუალებების (დანადგარი, ტექნიკა, ტექნოლოგია) შეძენა-მონტაჟის ხარჯები | 5,000 | 25,000 | 2,250 | 11,250 | 7,250 | 36,250 |
| (ბ) მომსახურება (მათ შორის, პროფესიონალური კონსულტაცია, შესაძლებლობების გაძლიერება და სხვა დაკავშირებული მომსახურებები) ხარჯები | 5,000 | 15,000 | 2,250 | 6,750 | 7,250 | 21,750 |
| სულ ჯამი: | 10,000 | 40,000 | 4,500 | 18,000 | 14,500 | 58,000 |

***შენიშვნა:*** *ევროში მოყვანილი თანადაფინანსების მინიმალური და მაქსიმალური ოდენობები პროგრამის პოტენციური ბენეფიციარის მიერ გადაანგარიშებული უნდა იქნეს ლარებში მის მიერ საკონკურსო განაცხადის შედგენის მომენტისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.*

### პროგრამის ბენეფიციარის (თანადაფინანსების მიმღების) ფულადი სახით თანამონაწილეობა სადემონსტრაციო პროექტის დაფინანსებაში

ბენეფიციარის თანამონაწილეობა სადემონსტრაციო პროექტის ფულადი სახით დაფინანსებაში შეიძლება განხორციელდეს შემდეგნაირად:

- ✓ თანადაფინანსების გამცემის მიერ სადემონსტრაციო პროექტისთვის გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე ბენეფიციარის მიერ თანამონაწილეობის თანხის ჩარიცხვით,

  ან
- ✓ საქონლის ან მომსახურების მიმწოდებელთან სამმხრივი ხელშეკრულების გაფორმებით - ერთი მხრივ, საქონლის ან მომსახურების მიმწოდებელსა, და მეორე მხრივ, თანადაფინანსების გამცემსა და ბენეფიციარს (საქონლის ან მომსახურების ერთობლივად შემსყიდველებს) შორის.

**ბენეფიციარის არაფულადი (In-kind) სახით თანამონაწილეობა სადემონსტრაციო პროექტის დაფინანსებაში**

ბენეფიციარის თანამონაწილეობა სადემონსტრაციო პროექტის დაფინანსებაში არაფულადი (In-kind) სახით გამოიხატება ბენეფიციარის მფლობელობაში არსებული უძრავი ქონებისა და მატერიალური რესურსების გამოყენებით. ამგვარ რესურსებს შესაძლოა წარმოადგენდეს მაგალითად საოფისე სივრცე და აღჭურვილობა, ლაბორატორიული დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, შრომის იარაღები და სხვა. ასეთი თანამონაწილეობის ფულადი განფასება და სადემონსტრაციო პროექტის მთლიან ბიუჯეტში ასახვა უნდა მოხდეს ხსენებული ქონებისა და მატერიალური რესურსების სადემონსტრაციო პროექტის განხორციელების დაწყებამდე შეძენის ან სარგებლობაში გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენით (თუ შესაძლებელია) და მათი ღირებულებიდან იმ წილის გამოთვლით, რომელიც მოდის პროექტის განხორციელების პერიოდზე.

თანამონაწილეობად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ფიზიკური შრომაც, რომელსაც, სადემონსტრაციო პროექტის ბიუჯეტის თანადაფინანსების წილიდან ფულადი ანაზღაურების გარეშე, შეასრულებენ ბენეფიციარი პირის მხრიდან სადემონსტრაციო პროექტის განხორციელებაში ჩართული/მონაწილე პირები. ამგვარი თანამონაწილეობის ფულადი განფასება უნდა მოხდეს ამავე სამუშაოს შესრულების რეალური საბაზრო ღირებულების მიხედვით.

**ფინანსური ანგარიშგება თანამონაწილეობის შესახებ**

თანამონაწილეობასთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების საკითხები განისაზღვრება თანადაფინანსების გამცემსა და ბენეფიცარს შორის სადემონსტრაციო პროექტის განხორციელების მიზნით დადებულ ხელშეკრულებაში. ბენეფიციარი ვალდებული იქნება წარუდგინოს თანადაფინანსების გამცემს ფინანსური ანგარიშგება სადემონსტრაციო პროექტის დაფინანსებაში როგორც ფულადი, ასევე არაფულადი სახით თანამონაწილეობის შესახებ.

**სადემონსტრაციო პროექტის მთლიანი ბიუჯეტიდან არ დაიფარება:**

- ვალის/სესხის ძირი ან მისი პროცენტი;
- გართობისა და წარმომადგენლობითი ხარჯები;
- კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული ზარალი;
- მოსაკრებელი, ჯარიმა, საურავი და პირგასამტეხლო;
- დანაკარგები ან მოსალოდნელი სამომავლო ვალდებულებები;
- საწარმოს წილების/აქციების შეძენა;
- პროექტის განხორციელების შემდეგ სამომავლო ხარჯების წინასწარ გაწევა, ხელფასი, სხვა მიმდინარე ხარჯები და ა.შ.;
- ჰუმანიტარული საქმიანობა;

- საგადასახადო დავალიანება, გადასახდელი საურავები, ჯარიმები;
- მესამე მხარისთვის სესხის გაცემა;
- უძრავი ქონების (მათ შორის, მიწის) შეძენა;
- მიმღების მიერ სხვა პროექტსა ან სამუშაო პროგრამაზე წარსულში გაწეული ხარჯები;
- სატრანსპორტო საშუალების შეძენა, გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სპეციალიზირებული მოძრავ-მექანიკური საშუალებებისა, რომელიც აუცილებელია სადემონსტრაციო პროექტის განხორციელებისათვის;
- საკონკურსო განაცხადის მომზადებისთვის განმცხადებლის მიერ გაწეული რაიმე ხარჯი, განაცხადის განხილვის შედეგების მიუხედავად;
- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით აკრძალული საქმიანობები.

### 1.5. სადემონსტრაციო პროექტის ფარგლებში საქონლისა და მომსახურების შესყიდვების განხორციელება

სადემონსტრაციო პროექტის განსახორციელებლად საჭირო საქონლისა და/ან მომსახურების შესყიდვას უზრუნველყოფს უშუალოდ თანადაფინანსების გამცემი ორგანიზაცია - კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (REC Caucasus). ორგანიზაცია შეთანხმებული ვადების ფარგლებში შეისყიდის და გადასცემს სადემონსტრაციო პროექტით გათვალისწინებულ ძირითად საშუალებებს (დანადგარებს, ტექნიკას და/ან სხვა სახის მოწყობილობას) და მომსახურებას ბენეფიციარს (თანადაფინანსების მიმღებს), რის თაობაზეც შედგება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

## 2. ვის შეუძლია პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა

პროგრამის ბენეფიციარები შეიძლება იყვნენ და შესაბამისად პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა და განაცხადის წარმოდგენა შეუძლიათ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომლებსაც სურთ კლიმატზე ორიენტირებული, მდგრადი და მწვანე ეკონომიკის პრინციპების დანერგვა.

*პროგრამის პრიორიტეტების გათვალისწინება*

პროგრამის ფარგლებში თანადაფინანსების გზით დაფინანსდება ის სადემონსტრაციო პროექტები, რომლებიც აკმაყოფილებენ პროგრამის პრიორიტეტული მიმართულებებით განსაზღვრულ ამოცანებს (*იხ. პუნქტი 1.2 - პროგრამის პრიორიტეტული მიმართულებები*).

*კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:*

- საქართველოს მოქალაქე სრულწლოვან ფიზიკურ პირებს.

- „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს (ინდივიდუალურ მეწარმეებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სტატუსის მქონე ორგანიზაციების ჩათვლით), გარდა სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის, აგრეთვე სს „საქართველოს განვითარების ფონდის“ მიერ პირდაპირი ან არაპირდაპირი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი იურიდიული პირებისა. იურიდიული პირები უნდა:
    - ახორციელებდნენ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას;
    - მიეკუთვნებოდნენ მცირე ან/და საშუალო საწარმოთა (SME) კატეგორიას.

  _შენიშვნა:_ მცირე და საშუალო საწარმოების განმარტება ეფუძნება საწარმოთა ბრუნვის მოცულობას და დასაქმებულთა რაოდენობას და გამოიყენება ბიზნესის შესახებ ოფიციალური სტატისტიკის მომზადების მიზნით. საშუალოა საწარმო, რომელშიც წლიურად დასაქმებულთა რაოდენობა მერყეობს 20-დან 100 დასაქმებულამდე და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 1,5 მლნ. ლარს. მცირეა საწარმო, რომელშიც წლიურად დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 20-მდე დასაქმებულს და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 500 ათას ლარს. თვალსაჩინოებისთვის იხ. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი 2.

*ცხრილი 2: მცირე და საშუალო საწარმოების განმარტება*

| საწარმოს ტიპი | დასაქმება | ბრუნვა ფისკალური წლის განმავლობაში |
|---|---|---|
| მცირე | წლიურად 20-მდე დასაქმებული | არაუმეტეს 500,000 ლარისა |
| საშუალო | წლიურად 100-მდე დასაქმებული | არაუმეტეს 1,500,000 ლარისა |

*(წყარო:საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)*

- განმცხადებლებს მოეთხოვებათ მინიმუმ სამწლიანი საქმიანობის გამოცდილება ხილ-კენკროვანი ან კაკლოვანი კულტურების პირველადი წარმოების (მოსავლის მოყვანა და აღება, პირველადი გადამუშავება/შენახვა და პირველადი მიწოდება) სფეროში.
- განმცხადებლებმა უნდა წარმოაჩინონ ხილ-კენკროვანი ან კაკლოვანი კულტურების მოყვანის, მოსავლის აღების, პირველადი გადამუშავების/ შენახვის თუ პირველადი მიწოდების ეტაპების გაუმჯობესებული პროცესების სამართავად საჭირო უნარები.
- განმცხადებლებლებს საკუთრებაში და/ან სარგებლობაში უნდა გააჩნდეთ რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთი ან ერთმანეთთან დაკავშირებული რამოდენიმე ნაკვეთი:
    - სულ მცირე 0.5 ჰა-ზე გაშენებული მოცვის კულტურით, ან
    - სულ მცირე 1 ჰა-ზე გაშენებული ნუშის კულტურით, ან

    - სულ მცირე 0.5 ჰა-ზე გაშენებული სხვა ხილ-კენკროვანი (გარდა მოცვისა) ან კაკლოვანი (გარდა ნუშისა) კულტურით.
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი/ნაკვეთები, სადაც განხორციელდება სადემონსტრაციო პროექტი, უნდა იყოს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში განმცხადებლის საკუთრებად რეგისტრირებული ან/და მიღებული ჰქონდეს იჯარით. იჯარის დარჩენილი პერიოდი უნდა შეადგენდეს კონკურსში განაცხადის შემოტანის მომენტისთვის არანაკლებ 5 წელს და იჯარის ხელშეკრულება უნდა იყოს რეგისტრირებული სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. მიწის ნაკვეთს/ნაკვეთებს არ უნდა ედოს ყადაღა ან/და იპოთეკა
- მიწის ნაკვეთი/ნაკვეთები უნდა იყოს მარტივად ხელმისაწვდომი მყარსაფარიანი ან გრუნტის გზების ქსელის მეშვეობით და აღჭურვილი ძირითადი ინფრასტრუქტურით (წყალი, ელექტროენერგია).
- იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთს/ნაკვეთებს გააჩნია რამდენიმე თანამესაკუთრე ან მოსარგებლე, სადემონსტრაციო პროექტში მათი ფულადი/არაფულადი თანამონაწილეობა განისაზღვრება მათი საკუთრების/სარგებლობის წილის მიხედვით.

## 3. კონკურსის ფარგლებში წარსადგენი სავალდებულო დოკუმენტაცია

საკონკურსო განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას:
- ***დანართი 1 (განაცხადი)*** - სრულად შევსებული და ხელმოწერილი სახით.
- ***დანართი 2 (პროექტის ბიუჯეტი)*** - სრულად შევსებული სახით;
- თუ განმცხადებელი ფიზიკური პირია - პირადობის მოწმობის ასლს; თუ განაცხადის წარმომდგენი რამდენიმე ფიზიკური პირია, ყველა პირის პირადობის მოწმობების ასლს;

  <u>შენიშვნა</u>: იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთს გააჩნია რამდენიმე თანამესაკუთრე/მოსარგებლე, მაშინ განაცხადს ხელი უნდა მოაწეროს ყველა თანამესაკუთრემ/მოსარგებლემ.
- თუ განმცხადებელი იურიდიული პირია:
    - განახლებულ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (ამონაწერის განახლების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 21 კალენდარულ დღეს განაცხადის წარმოდგენის მომენტისთვის);
    - მიწის ნაკვეთზე/ნაკვეთებზე არსებული უძრავი ქონების საკუთრების/სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს;
- ყველა იმ შემოთავაზებულ შესყიდვასთან დაკავშირებით, რომლის ღირებულებაც აღემატება 1000 (ათასი) ევროს ექვივალენტს ლარში, წარმოდგენილი უნდა იქნეს წინასწარი ინვოისი ან/და მომწოდებლის ვებ-გვერდის ბმული, სადაც ფასი და შესასყიდი ძირითადი საშუალების სპეციფიკაცია იქნება მითითებული;
- ცნობას საგადასახადო დავალიანების არარსებობის შესახებ.

## 4. კონკურსის ეტაპები

კონკურსის გაიმართება 4 ეტაპად:

- ეტაპი I: განაცხადების მიღება და გადარჩევა
- ეტაპი II: განაცხადების პირველადი შეფასება საკონკურსო კომისიის მიერ
- ეტაპი III: თანადაფინანსებისთვის შერჩეული სადემონსტრაციო პროექტების გამოვლენა
- ეტაპი IV: გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილების რისკების შეფასება და ხელშეკრულების გაფორმება

### 4.1. ეტაპი I: განაცხადების მიღება და გადარჩევა

პირველ ეტაპზე მოხდება განაცხადების მიღება და მათი გადარჩევა გამოცხადებული მოთხოვნების შესაბამისად.
აღნიშნულ ეტაპზე ფასდება შემოტანილი საბუთების შესაბამისობა საკონკურსო პირობებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან მიმართებით.
არასრულად წარმოდგენილი დოკუმენტაცია არის განმცხადებლის დისკვალიფიკაციის საფუძველი.
კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (REC Caucasus) დაუკავშირდება მხოლოდ შემდეგ მე-2 ეტაპზე გასულ კონკურსანტებს. შემდეგ ეტაპზე გადასვლის თაობაზე განმცხადებლებს ეცნობებათ განაცხადში მათ მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

### 4.2. ეტაპი II: განაცხადების პირველადი შეფასება

პირველადი შეფასება: საკონკურსო კომისია მოახდენს განაცხადების პირველად შეფასებას საკონკურსო კრიტერიუმების მიხედვით (იხ. დანართი 3), განიხილავს და შეარჩევს მაღალქულიან განაცხადებს.
მე-3 ეტაპზე გადასვლის თაობაზე განმცხადებლებს ეცნობებათ განაცხადში მათ მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის მეშვეობით.

### 4.3. ეტაპი III: საბოლოო შეფასება და თანადაფინანსებისთვის შერჩეული სადემონსტრაციო პროექტების გამოვლენა

მე-3 ეტაპზე განსახილველად შერჩეული სადემონსტრაციო პროექტების (განაცხადების) წარმდგენი პირები მიწვეული იქნებიან კავკასიის რეგიონულ გარემოსდაცვით ცენტრთან (REC Caucasus) შეხვედრაზე, სადაც შერჩეული სადემონსტრაციო პროექტების (განაცხადების) წარმდგენი პირები გამართავენ პრეზენტაციას მათი სადემონსტრაციო პროექტების თაობაზე და გაეცნობიან და დაეთანხმებიან თანადაფინანსების მისაღებად გასაფორმებელი ხელშეკრულების პირობებს.

აღნიშნულის საფუძველზე მოხდება შერჩეული სადემონსტრაციო პროექტების (განაცხადების) საბოლოო შეფასება და შესაბამისად, თანადაფინანსებისთვის შერჩეული სადემონსტრაციო პროექტების გამოვლენა.

ამასთან, კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (REC Caucasus) იტოვებს უფლებას მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც ცენტრს უნდა წარედგინოს ხელშეკრულების გაფორმებამდე. მაგალითად, შერჩეულმა პრეტედენტებმა ხელშეკრულების გაფორმებადე, მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, უნდა წარმოადგინონ თანადაფინანსების სავარაუდო ღირებულებაზე ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება. წარმოდგენილი უნდა იქნას სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნა (დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი).

## 4.4. ეტაპი IV: გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილების რისკების შეფასება და ხელშეკრულების გაფორმება

ხელშეკრულების გაფორმებამდე, ყველა საბოლოოდ შერჩეულმა სადემონსტრაციო პროექტმა (განაცხადმა) უნდა გაიაროს გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილების რისკების შეფასება პროექტ PROGRESS-ის ფარგლებში დადგენილი წესის შესაბამისად.

აღნიშნული შეფასება განხორციელდება კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (REC Caucasus) მიერ.

შეფასება მიზნად ისახავს სადემონსტრაციო პროექტთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილების რისკების გამოვლენას და შესაბამისი მდგრადობის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

აღნიშნული შეფასების პროცესში, შერჩეულმა განმცხადებლებმა უნდა უზრუნველყონ წვდომა სადემონსტრაციო პროექტის ადგილებზე (ტერიტორიებზე) და ასევე, წარადგინონ კონკურსის წინა ეტაპზე კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (REC Caucasus) მიერ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია.

რისკების შეფასების შედეგად სადემონსტრაციო პროექტი დაექვემდებარება კლასიფიკაციას როგორც დაბალი, საშუალო ან მაღალი რისკის მქონე.

მხოლოდ დაბალი ან საშუალო რისკის მქონე სადემონსტრაციო პროექტების განმცხადებლებთან გაფორმდება ხელშეკრულებები. მაღალი რისკის მქონე სადემონსტრაციო პროექტები ვერ გადავლენ განხორციელების ეტაპზე.

საშუალო რისკის მქონე სადემონსტრაციო პროექტებისთვის მომზადდება გარემოსდაცვითი შერბილების და მონიტორინგის გეგმა (EMMP), სადაც გაწერილი იქნება რისკების შერბილების ღონისძიებები. გეგმის განხორციელების საკითხები დარეგულირდება ხელშეკრულებითა და მხარეების შეთანხმების საფუძველზე.

კონკურსის აღნიშნული ეტაპის ბოლოს მოხდება შესაბამისი სადემონსტრაციო პროექტების თანადაფინანსების თაობაზე ხელშეკრულებების გაფორმება.

## 5. კონკურსთან დაკავშირებული საინფორმაციო შეხვედრა და საკონკურსო განაცხადის წარმოდგენა

საინფორმაციო შეხვედრა კონკურსის თაობაზე ჩატარდება ონლაინ ფორმატში, შესაძლებელი იქნება კონკურსის პირობებთან დაკავშირებულ შეკითხვებზე პასუხების მიღება.

შეხვედრა ჩატარდება ა.წ **28 მაისს 12.00 საათზე.**

შეხვედრაში მონაწილეობისთვის ეწვიეთ ბმულს:
https://us06web.zoom.us/j/83165885832?pwd=jqFMwlesuIJQGzDQaNQzGXDbKQ7opv.1
Meeting ID: 831 6588 5832
Passcode: 439405

### 5.1. კონკურსის შესახებ შეკითხვების გამოგზავნა

კონკურსთან დაკავშირებული შეკითხვების გამოგზავნა შესაძლებელია **6 ივნისის** ჩათვლით.

ყველა მიღებული შეკითხვა და პასუხები ერთობლივად გამოქვეყნდება კონკურსის შესახებ განაცხადის განთავსების ადგილას. შეკითხვები დაიშვება მხოლოდ კონკურსის პირობებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

დაუშვებელია კითხვები, რომლებიც განაცხადის შინაარსის/თემატიკის შესახებ წინასწარი მოსაზრების გაგებას ემსახურება. შეკითხვები უნდა გამოიგზავნოს ქვემოთ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე:
natia.tskhovrebadze@rec-caucasus.org ან/და nino.nadibaidze@rec-caucasus.org

ელექტრონილი წერილის საგნის ველში (subject) აუცილებლად უნდა იყოს მითითებული: შეკითხვა - სადემონსტრაციო პროექტების კონკურსი 2025 - RECC - PROGRESS

## 5.2. საკონკურსო განაცხადის წარმოდგენა

განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონულად და მოიცავდეს მოთხოვნილ ყველა დოკუმენტს;
განაცხადის შევსებული ფორმა და სხვა მოთხოვნილი დოკუმენტაცია უნდა გამოიგზავნოს ელექტრონულად ქვემოთ მოყვანილი ელექტრონული ფოსტის მისამართენზე:
natia.tskhovrebadze@rec-caucasus.org;
nino.nadibaidze@rec-caucasus.org

**განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2025 წლის 13 ივნისი 18.00 სთ.**

**შენიშვნა : განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადა გახანგრძლივდა და განისაზღვრა 2025 წლის 23 ივნისის 18:00 საათამდე**

დაგვიანებით გამოგზავნილი ან/და არასრულყოფილად წარმოდგენილი განაცხადი შესაძლოა დაექვემდებაროს ავტომატურ დისკვალიფიკაციას;
ელ. ფოსტით განაცხადის გამოგზავნისას საგნის ველში (subject) მიუთითეთ:

განაცხადი - სადემონსტრაციო პროექტების კონკურსი 2025 - RECC - PROGRESS

განაცხადის გამოგზავნიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღეში უნდა მიიღოთ შეტყობინება, რომ თქვენი ელექტრონული წერილი იქნა მიღებული. შეტყობინება დაადასტურებს მხოლოდ წერილის მიღების ფაქტს.

სასურველია, არ დაელოდოთ ვადის ამოწურვას განაცხადის გამოგზავნისთვის, რათა თავიდან იქნას არიდებული ტექნიკური შეფერხებით გამოწვეული შესაძლო გაუგებრობები.